ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7809220

ნომერი: AR11129190

თარიღი : 13.02.2026

გაცემის თარიღი : 16.02.2026

გაცნობის თარიღი : 16.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, არტურ ლაისტის ქუჩა, N 64;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 13 თებერვალს №AR11129190 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 26

ივლისის №7152518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებით, №01.17.14.003.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2024 წლის 26 აგვისტოს №7193679 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
სამსახურის 2025 წლის 7 ოქტომბრის №7656148 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 1030.8 კვ.მ. ამასთან, შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2025 წლის 26 სექტემბრის №AR11110628 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ -3.00 ნიშნულის გეგმაზე „ა“ ბლოკში №15 და №16 ავტოსადგომები მეორდება ორჯერ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და „ა“ ბლოკში „ო-ნ“ ღერძებსა და „1^1-1“ მონაკვეთში მდებარე ავტოსადგომებზე №15ა და №16ა მითითება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული -3.00 ნიშნულის გეგმაზე შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ -3.00 ნიშნულის გეგმაზე „ა“ ბლოკში და არა „ბ“ ბლოკში, როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, №15 და №16 ავტოსადგომები მეორდება ორჯერ. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და -3.00 ნიშნულის გეგმაზე „ა“ ბლოკში „ო-ნ“ ღერძებსა და „1^1-1“ მონაკვეთში მდებარე ავტოსადგომებზე №15ა და №16ა მითითება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებაში და შეთანხმებული -3.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2024 წლის 26 ივლისის №7152518 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.